ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5860381

ნომერი: AR1881877

თარიღი : 25.02.2022

გაცემის თარიღი : 22.03.2022

გაცნობის თარიღი : 22.03.2022

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი, N 4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკი პ/ნ 01291003300
- თბილისი, ჭაბუა ამირეჯიბის გამზ #4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 25 თებერვალს №AR1881877 განცხადებით მომართა რადოსლავ ცვეტანოვ დუდოლენსკიმ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5700329 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5700329 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი№4-ში მდებარე №01.14.14.005.242 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 26 ნოემბრიდან 2022 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით. ამავე ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის №4.7 ქვეპუნქტით დამკვეთს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 24 ნოემბრის №MIA52103073491 წერილის შესაბამისად, დაევალა 3 თვის ვადაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის უზრუნველყოფა და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში წარდგენა.
წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილია 2021 წლის 26 ნოემბრის №5700329 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, იმ საფუძვლით, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, ზემოაღნიშნულ საპროექტო ობიექტთან დაკავშირებით, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების პროექტების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში წარდგენისთვის განსაზღვრულ იქნა დამატებით ორი თვის ვადა (2022 წლის 24 თებერვლის №MIA62200484470 წერილი) და შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ვადის შეთანხმებულ ბრძანებაში ასახვა.
აღსანიშნავია ის გარემოება, რომ, სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5700329 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის №4.7 ქვეპუნქტში დაფიქსირებულ იქნა ჩანაწერი ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაციის 3 თვის ვადაში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში წარდგენის ვალდებულების თაობაზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2021 წლის 24 ნოემბრის №MIA52103073491 წერილის საფუძველზე. სწორედ აღნიშნულ წერილში იქნა მითითებული, რომ სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5700329 ბრძანებაში უნდა ასახულიყო აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულება. რაც გათვალისწინებულ იქნა სამსახურის მიერ.
რაც შეეხება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2022 წლის 24 თებერვლის №MIA62200484470 წერილის საფუძველზე განსაზღვრულ დამატებით ვადას, განგიმარტავთ რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ თქვენთვის განსაზღვრული დამატებითი ვადა სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5700329 ბრძანებაში ვერ იქნება ასახული, ვინაიდან არ წარმოადგენს ბრძანებაში ცვლილების შეტანის საფუძველს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან წინამდებარე განცხადებაში აღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენს ბრძანებაში ცვლილების შეტანის საფუძველს, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, სამსახურის 2021 წლის 26 ნოემბრის №5700329 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.